ლელა ეძგვერაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
lela.edzgveradze@atsu.edu.ge
ORCID: 0009-0002-6646-3035

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.22

საინფორმაციო ტექსტების სწავლება დაწყებით კლასებში

საკვანძო სიტყვები: წიგნიერების საბაზისო უნარები, საინფორმაციო ტექსტები, სწავლება

საქართველოში ჩატარებული წიგნიერების საერთშორისო კვლევებმა აჩვენა, რომ საინფორმაციო ტექსტებიდან ინფორმაციის მიღება–დამუშავება ქართველი მოსწავლეებისათვის კიდევ უფრო პრობლემატურია, ვიდრე მხატვრული ტექსტის ინტერპრეტირება. რამდენადაც ფუნქციური წიგნიერების ამ ასპექტის განვითარება უმნიშვნელოვანესია მოსწავლის შემდგომი განვითარებისა და აკადემიური წარმატებისათვის, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კითხვები: რა განაპირობებს ამ გამოწვევას? და როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ მდგომარეობა?

იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახის ტექსტებში ინფორმაცია ექსპლიციტურად არის მოწოდებული, თითქოსდა მისი აღქმა მხატვრული ტექსტების გააზრებაზე უფრო მარტივი უნდა იყოს, თუმცა რეალობა განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. მოსწავლეებს განსაკუთრებულად უჭირთ მოწოდებული მასალის შინაარსის წვდომა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტების დიფერენცირება, მნიშვნელოვანი დეტალების გამოკვეთა და დამახსოვრება, მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირება.

ამგვარი სირთულეები განპირობებულია მრავალი ფაქტორით. უპირველეს ყოვლისა, დაწყებით კლასებში ქართულის გაკვეთილებზე საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობის ხვედრითი წილი ძალიან მცირეა. ძირითადი აქცენტი მხატვრულ ტექსტებზეა გადატანილი. სასკოლო პრაქტიკის მონაწილე სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათი პრაქტიკის პერიოდში საინფორმაციო ტექსტები კლასში უმეტესწილად საერთოდ არ მუშავდება, ან შეიძლება ორთვიანი პერიოდის განმავლობაში მასწავლებელმა 1 საინფორმაციო ტექსტი შემოიტანოს. შესაბამისად, იმ შემთხვევებშიც კი, როცა მასწავლებლები ფლობენ საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობის სტრატეგიებს, მოსწავლეები ვერ იღებენ სისტემატურ გამოცდილებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წარმატებებს სხვა საგნებში.

ლიტერატურაში, სადაც ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებზეა საუბარი, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ნაკლებად ინტერესდებიან საინფორმაციო ტექსტებით, ისინი უპირატესობას მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებენ, რომ სახელმძღვანელოებში არ არის წარმოდგენილი საინფორმაციო ტექსტები, რომ წარმოდგენილი ტექსტები რთულია მოსწავლეთათვის... თუმცა, აღნიშნული მიზეზები

ვერ გამოდგება არსებული მდგომარეობის გასამართლებლად. რეალურად პრობლემა სასწავლო პროცესის წარმართვაშია. ყველა დასახელებული ფაქტორის განეიტრალება ეფექტურად არის შესაძლებელი შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით. **ფაქტობრივად, მასწავლებელს სჭირდება სწავლების ისეთი საბაზისო მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორებიცაა: მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, გამოცდილებისა და მზაობის, მათი ინტერესების გათვალისწინება, მრავალფეროვანი და მიზანს მორგებული მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება.**

მიზეზი, რომ მოსწავლეებისათვის მხატვრული ტექსტი უფრო მამოტივირებელია არ არის სარწმუნო. ერთი შეხედვით, თითქოსდა გაცილებით მარტივია ბავშვი დავაინტერესოთ ნაწარმოებით, სადაც ცხოვრებისეული სიტუაციაა წარმოდგენილი, არის შესაძლებლობა ემოციური კავშირი დაამყარონ პერსონაჟებთან, ვიდრე ტექსტებით, რომლებშიც ფაქტობრივი ინფორმაციაა გადმოცემული. თუმცა, მეორე მხრივ, ბავშვისათვის სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნება ბუნებრივი მოთხოვნილებაა და სწორად შერჩეული მასალისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეები ბუნებრივად, ენთუზიაზმით ერთვებიან სასწავლო პროცესში.

სახელმძღვანელოებში საინფორმაციო ტექსტების ნაკლებობის პრობლემა და მათი სირთულე დისკომფორტს ქმნის მასწავლებლისათვის, თუმცა მას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, რომ დამატებითი ტექსტი შეიტანოს კლასში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო წლებში მიზანმიმართულად შეიქმნა მრავალი საინფორმაციო ტექსტი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის, რომელთა მოძიება შესაძლებელია ელექტრული თუ ბეჭდვითი რესურსის სახით. ასევე შესაძლებელია სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ან სხვა საინფორმაციო ტექსტების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

ტექსტების შერჩევის დროს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მოტივაციის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მასწავლებლის დიდ ყურადღებასა და ხელოვნებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, კლასში მრავალი განსხვავებული ინტერესის მქონე მოსწავლეა და ერთი და იგივე თემა ყველა მათგანისთვის თანაბრად საინტერესო ვერ იქნება, თუმცა მასწავლებელს შეუძლია განვსაზღვროს ინტერესთა ჯგუფები, რომლის ფარგლებში შეარჩევს ტექსტებს. მნიშვნელოვანია, პერიოდულად მოსწავლეებს შევთავაზოთ 2–3 ტექსტი განსხვავებულ თემებზე, რომელთაგანაც თავად შეარჩევენ სასურველს. შესაძლოა, ხმათა უმრავლესობის გათვალისწინებით, სამუშაოდ შეირჩეს 1 ტექსტი ან მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად ინტერესების მიხედვით და იმუშავებენ სხვადასხვა თემაზე. ბოლოს კი პრეზენტაციის ფორმატში კლასს გააცნობენ, რატომ შეარჩიეს ეს ტექსტი, რა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო მასში წარმოდგენილი, რა შეიტყვეს ახალი და რამდენად გამართლდა მათი მოლოდინი. ასევე, ეფექტური იქნება, მოსწავლეებს მივცეთ საშინაო დავალება, თავად შეარჩიონ სასურველი საინფორმაციო ტექსტი, დაამუშაონ და წარადგინონ კლასის წინაშე. შესაძლოა, არჩევანი იყოს სრულიად თავისუფალი ან შეთავაზებული იყოს გარკვეული თემატური ჩარჩო (საყვარელი სპორცმენი, გუნდი, მსახიობი, ისტორიული პიროვნება, მისთვის განსაკუთრებით საინტერესო ცხოველი, ბუნებრივი ან ისტორიული მოვლენა, პროფესია...). დავალებები შეიძლება იყოს შეთავაზებული წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის.

დაწყებით კლასებში საინფორმაციო ტექსტზე მუშაობის უმთავრესი ამოცანაა მოსწავლეებს განვუვითაროთ უნარი, დაამუშაონ ტექსტი შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით. მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექსტები (ენციკლოპედიური სტატიები, საინფორმაციო ბუკლეტები, ტექსტები ბუნების, სხვადასხვა ხალხების კულტურისა და წეს–ჩვეულებების, ისტორიული მოვლენების, ტექნოლოგიების შესახებ...). სასწავლო პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ მუშაობის ეფექტური ფორმები მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ტექსტის სპეციფიკით. რომელიმე ცხოველის ან ბუნებრივი მოვლენის შესახებ ინფორმაციის შემცველი ტექსტი არსებითად განსხვავდება ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიის, ისტორიული მოვლენების ამსახველი ტექსტისაგან და განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობის ისეთი ინსტრუმენტების გვერდით, როგორებიცაა: მონიშვნებით კითხვა, კლასტერული რუკა ან ფრეიერის სქემა, ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრულ ტექსტზე მუშაობის ფორმები: მოვლენთა ჯაჭვი ან პერსონაჟის რუკა. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ განსხვავებული ტიპის ტექსტები და ჩამოვუყალიბოთ ტექსტის სპეციფიკისა და მიზნის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევის უნარი.

სასწავლო პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს საინფორმაციო ტექსტების სტრუქტურულ მახასიათებლებზე, მოსწავლეებმა უნდა აღიქვან, როგორ არის ტექსტი აგებული, როგორ მიემართება ერთმანეთს ტექსტის შინაარსი და სათაური, როგორ არის სტრუქტურირებული აბზაცები, სად არის მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია, შეჯამება...

შეჯამების მიზნით, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საინფორმაციო ტექსტის სწავლება ფუნქციური წიგნიერების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. იგი წარმოადგენს ზოგადი საგნობრივი ცოდნის, კვლევითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების ეფექტურ საშუალებას. მოსწავლის შემდგომი განვითარებისათვის ასეთი ტექსტების დამუშავების უნარების ფლობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. დაწყებით კლასებში მშობლიური ენის გაკვეთილებზე ამ ასპექტს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე დღეს ეთმობა.

ლიტერატურა:

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, G_PRID, თბ. 2015

მელიქიძე მ., ბაგრატიონ–გრუზინსკი მ., ლორთქიფანიძე რ., სასწავლო აქტივობები ყველასათვის, თბ. 2018

ლომიძე ნ., საინფორმაციო ტექსტის დამუშავება დაწყებით საფეხურზე, ინტერნეტგაზეთი, mastavlebeli.ge, 2016წ. 18 მაისი

Lela Edzgveradze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
lela.edzgveradze@atsu.edu.ge
ORCID:0009-0002-6646-3035
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.22

Teaching Informational Texts in the Early Grades

Abstract

The primary task in the early grades is to develop the fundamental skills of literacy. The most crucial aspect of this task is the comprehension of informational texts—the development of the ability to understand, analyze, and create content. This competence is fundamentally different from the skill of interpreting artistic texts and plays a vital role in the intellectual development of an individual.

Among the various types of informational texts, this paper focuses on the teaching of informational cognitive texts. Such texts serve as the main resource for conveying information on new topics and for the expansion and deepening of knowledge. For the subsequent development of the student and for academic success, it is essential that, from the very beginning, they acquire the ability to process these texts effectively. Essentially, students in any discipline, whether in the humanities or STEM fields, receive information precisely through the use of informational cognitive texts.

The current state of working with informational texts in the early grades cannot be considered satisfactory. In Georgian language lessons, informational texts are rarely taught. As for other subjects (such as natural sciences and social studies), where information is primarily presented in the form of informational texts, teachers tend to give little consideration to strategies for working with texts. In many cases, the focus is solely on memorizing the presented information. It would be preferable to use this important resource with a focus on developing literacy skills, which implies the deliberate use of effective strategies and methods for working with informational texts.

In this paper, we will discuss effective strategies for working with informational texts, focusing on the principles of text selection, the benefits of differentiation according to students' interests, the significance of using various cognitive schemes and different types of questions, as well as the benefits of collaborative learning. We will analyze the specifics of working with informational cognitive texts in terms of different themes, content, and structure, and we will present how educational objectives and work formats can be aligned with the characteristics of a particular text.

Key words: development of the ability to understand, Teaching, Informational Texts